საქართველოს ორგანული კანონი

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (პარლამენტის უწყებანი, №14, 12.06.96, გვ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 31-ე მუხლი:

„მუხლი 31. ამ კანონის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტისა და მე-4 მუხლის 1^1 პუნქტის მოქმედების ვადა

ამ კანონის მე-3 მუხლის 1^1 პუნქტი და მე-4 მუხლის 1^1 პუნქტი მოქმედებს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებიდან 12 წლის განმავლობაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

5 სექტემბერი 2018 წ.

N3386-Iს